

ზინაური საქმეეზი

ყოველკვირული გაზეთი.

№ 15.

კვირა, აპრილი 12, 1909 წ.

ფასი წლიურათ — — 4 მან.

ნახევარი წლიათ — 2 1/2 მან.

(ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეიკათ.

აღმსნი: ქუთაისი „მხაურა საქმეეზის“
რედაქცია.

ზინაური: მოწინავე; პირველი ფურცელი ბიბლიისა—ონოკრე მწირისა; რას ჩაედივართ?—ივერიელისა; ირო-
ლიადა გუსტავ ფლომერისა ნათარგმნი ფრანგულიდან— მაქსიმისა; კინტორი მწერლების ეპისტოლე
(ლექსი)—ქაიხოსრო გელოვანისა; საზოგადოების საყურადღებოთ—ლადო ნაცელიშვილისა (ბზევანელი); ქუთა-
ისში აკაკის დღესასწაულზე დამსწრე ქაქუჩა გლეხის ნაამბობი—ქეცხელ-საბაელოლისა.

ყოველკვირული გაზეთი

„ზინაურ საქმეეზი“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუ-
თაისში (საბურთალო—კაზაკოვის—შესახვევში
№ 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფა-
სი 4 მან. ნახ. წლით 2 1/2 მან. ცალკე ნომერი
ღირს 10 კაპ გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად
ყოველგვარ განცხადებას.

დარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერ-
ლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კაპ.

კუთაისი 12 აპრილი.

ხუთშაბათს, 9 აპრილს, ეოვლად სამ-
ღვდელო კიორგის განკარგულებით და
თავმჯდომარეობით საეპარქიო საქალეო
სახსწავლებლის დარბაზში შესდგა ჰირვე-
ლი დამკუენებელი კრება იმერეთის ეპარ-
ქიის სარწმუნოებრივ განმანათლებელ წმ.
კიორგის მშობისა. კრებას დაესწრო ნა-
წილი ქუთაისის საძღვდელოებისა და შემ-
თხვევით რამოდენიმე სოფლელი ძღვდელი.
დაწყებითი ღოცვის შემდეგ ეოვლად სამ-
ღვდელომ კარებთების შესაფერი სიტყვით
მიმართა კრებას, რომელშიდაც აღნიშნა დღე-
ვანდელი რუკა სარწმუნოებისა, რომელიც

გამოიწვია ახლო წარსულმა მოძრობამ,
მისმა ხელმძღვანელებმა და მათგან გავრცე-
ლებულმა ნათარგმნმა და ორიგინალურ-
მა წიგნებ-წიგნაკებმა. ასეთ დროს სარწმუ-
ნოების წარმომადგენელთა ვაღიბ იხსრუ-
ნოს, ეოველი სჯდეთო ღონე იხმაროს
შერეულ სარწმუნოების განმტკიცებისა და
აღდგინებისათვისო. ნიუთიერად დაცემულ
დროში კერძო ჰირთათვის ძალიან ძნე-
ლია და შეუძლებელიც ასეთ არა სსსურ-
ველ მოვლენის გამკლავება და სწორეთ
აქ უნდა ვხედავდეთ ერთ საზოგადოებაში,
ერთ მშობაში შეკავშირების საჭიროებას
იმ მიხნით, რომ მოვიკრიბოთ საჭირო
ნიუთიერი და გონებრივი ძალა სარწმუ-
ნოების მტრების წინააღმდეგ საბრძოლ-
ველადო. ესლავე თქვენ მოვსხნდებათ ჩემ
მიერ დამტკიცებული იმერეთის ეპარქიის
სარწმუნოებრივ განმანათლებელი მშობის
წესდება, რომელსაც მიხნადა აქვს სახელ-
დობრ ეს აზრიო. სრული იმედი მაქვს,
როგორც დამსწრე საზოგადოებისა, ი'ე
მთელი ჩემი სამღვდელოებისა, რომ სი-
ხარულით მიეცებები

სამღვდელო რ. სულთაი-
ბი



ბულებს და არ დაიზოგავენ თავის წვლილის დადებს ამ წმიდა და საღვთო საქმისათვის. მე ჩემის მხრით ვეცდები ყოველი ღონით, რომ ხელი შევუწყო ამ მშობას, როგორც ნიუთიერად ისე უნეობრივადაც. ამ ზირკულად ერთი წლის განმავლობაში თითო თუმანს შემოვიტან მშობის სასარგებლოდო. ნუ გეშინისთო, დაბოლავა ყოვლად სამღვდელომ, თუმცა სარწმუნოება შერყეულა, მაგრამ მორწმუნე ადამიანები ძანც საქმოდ არიან ქვეყანაზე, რომლებიც, იმედი მაქვს, მოგვეშველებიან ამ წმიდა საქმეში, თუ ჩვენი მხრით ერთგულებას დაინახავენო.

შემდეგ წაკითხულ იქნა მშობის წესდება*), რომლის შემდეგ დამსწრე სამღვდელო და საერო ზირები თითქმის ყველა ნანდვილ წევრებზე ჩაეწერენ. დიდთ სასიამოვნოდ დაურჩათ ასეთი მშობის დაარსება. კრებამ აირჩია მშობის გამგეობა ხუთი ზირისაგან, რომელთა შორის ირიცხებიან არს. მოწამეთისა ზიროსი, დეკ. ნ. უბანეიშვილი, მღვდ. ს. მკედლიძე და მასწ. ტრ. ჯაფარიძე. მეხუთე ზირის ვინაობას, რომელიც ერთი უმთავრესი შემომწირველთაგანია მშობისა, ჯერჯერობით, სხვა და სხვა მიზეზის გამო, ვერ ვაცხადებთ.

კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ მეორე საზოგადო კრება მოხდეს მომავალ სამღვდელოების რწმუნებულთა კრების დროს, რომელიც დანიშნულია ამა

თვის 29 ოცტომბისათვის. კრება ნასიამოვნოები დაიშალა იმ იმედით, რომ მშობა ძალე შეუდგება თავის მიზნის განხორციელებას და მორწმუნე საზოგადოება დიდი თანაგრძობით მიეგებება ამ კეთილ დაწვებულებას. ყოვლად სამღვდელომ აკურთხა დამსწრე საზოგადოება და მადლობა უთხრა იმ გულმხურვალე მონაწილეობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სოფლის სამღვდელოება სინარულით მიეგება მშობის დაარსებას და არ დაიზოგავს თავს, რომ მშობას ხელი შეუწყო. ჩვენ ვფიქრობთ და დარწმუნებულნი ვართ, რომ იგი ბევრით წაუსწრობს თანაგრძობაში და დახმარებაში ქალაქის სამღვდელოებას. ჩვენ გვასწავს რა დიდი თავგამოღებით იცავდა კრებაზე სოფლის სამღვდელოება საკუთარ გამოცემისა და სტამბის შექმნის საქმეს, მაშინ როდესაც ზოგიერთ ქალაქის მღვდელს ეს ლახვარივით გულზე ესობოდა. ჩვენ გვასწავს აგრეთვე რა დიდი სიამოვნებით მიიღეს ერთ ერთ თავის კრებაზე სასულიერო წიგნებ-წიგნაკების გამოცემული საზოგადოების დაარსება და კრებულზე ორ-ორი მანეთი გაიწერეს გადასახადი ამ საქმისთვის, გარნა რაღაც მიზეზისა გამო არ იქმნა დამტკიცებული სათანადო მართებლობისაგან. სოფლის მღვდელი უფრო გრძობს საკითხავ წიგნების და წიგნაკების საქირაებას, როგორც თავისთვის, ისე მრევლისთვისაც, ვიდრე ქალაქისა, სადაც ადვილი საზოგადო-სახანთხოვროთა სხვა

*) წესდება დაბეჭდილია ქართულად „ზინაურ საქმიანის“ № 11 და 13

და სხვა ჟურნალ-გაზეთები და წიგნები. ამიტომაც, როგორცა ვსთქვით, სოფლის სამღვდელთა უფრო თანამგრძობი შეიქნება ახლად დაარსებულ მშობისა, რომელიც თავის მხრითაც ეცდება ყოველივე ახალი და საჭირო თავ თავის დროსეუ მიაწოდოს მას შემდეგისა და კვარად.

რაცა შეეხება სამუალებას, აქ უნდა ვიხელმძღვანელოთ რუსული ანდაზით. „съ миру по ниточкѣ, бѣдному рубашка“. ჩვენ ეველა დაქვეითებული ვართ ნივთიერად, მაგრამ საწევრო განსახადიც მაგიერად ცოტაა, სულ სამი მანეთი წელიწადში. რა თქმა უნდა, ესეც დიდი დასაკლავი იქნება ზოგიერთთათვის, განსაკუთრებით დღევანდელ დღეს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მღვდლობის ხარისხის მიღების დროს ფიცი დავსდევით, რომ ვმწესოთ ეკლესია და გავაზრცილოთ სარწმუნოება. ჩვენი სამღვთო მრავალება ეს არის და ამ მოვალეობის შესრულება თუ მოითხოვს, ჰერანციც კი უნდა გავეიდოთ და მას მოვასმაროთ. მაგრამ, იმედი გვაქვს, ამ ზომამდე საქმე არ მიასწევს.

ეჭვი არა გვაქვს, რომ გურია სამეგრელოს სამღვდელთა თავის ღირსეულ მღვდელმთავრის მეთაურობით, რომელმაც ას ოცი მანეთი შესწირა მშობას და აღუთქვა ყოველგვარი დახმარება, შემოუერთდება იმერეთის მშობას და მასთან ერთად ეცდება სახარების უკვდავ იდეალოს შემდეგისა და კვარად განხორ-


ციელებას იმ ხალხში, რომელიც ასე მწარეთ აიყოლა და გაიტაცა ურწმუნოებამ და სიდაც სამღვდელთა ასე დიდად ესაჭიროება თავის დაცემულ ზიროვნების აღდგინება და ხალხსე გაველინის მოპოება.

ვეუქრობთ აგრეთვე, რომ ქართლ-კახეთის სამღვდელთა მხარს დავეიჭერს და მშათ ამოგვიდგება გვერდში. ყოვლად სამღვდლო დაუთმა დიდი დახმარება აღმოგვიჩინა მშობის წესდების შედგენაში და ნივთიერი შემწეობაც აღუთქვა მშობას და ეს საბუთია მისი, რომ ქართლ-კახეთის სამღვდელთა არავის ჩამორჩება უკან ამ კეთილ საქმეში.

განსაკუთრებით იმედს ვსდებთ უძალეს გურს დამთავრებულ მღვდლებსე და დეკანოზებსე, რომლებსაც უფრო ესძისთ ისეთი მშობის დაარსების საქმე, როგორც დღეს იმერეთის განმანათლებელი მშობა. თბილისს ბევრი ურწმუნო ხალხი ახვევია, მაგრამ აქ ბევრი მორწმუნენიც ცხოვრობენ, მორწმუნენი, რომელთაც სურვილიც აქვსთ და ღონეც შესწევსთ ხელი შეუწეონ სარწმუნოების აღორძინების და განმტკიცების საქმეს. ამ შემთხვევაში თბილისელი მამები დაუფასებელ სამსახურს გაუწევენ მშობას, თუ მოინდომებენ, რაშიდაც ეჭვი არა გვაქვს.

დასასრულ ვთხოვთ ეველას, ვისაც ადამიანი ცხოვრების ტალღების და ზოლიტიკურ ჰარტიების საბურთალოდ არ მიანია, არამედ ხედავს მასში ძვირფას და უკვდავ არსებას, რომლის ქვეყნიური

ცხოვრება მსოფლიოდ მომხადებან სხვა უძღვეს ცხოვრებისათვის, რომელიც დაიწება სიკვდილს შემდეგ, შეეწიოს ახალ დაარსებულ მშობის ფუნის მოდემანს. ვაკვლევარ შეწირულებას ფულად, თუ ნიუთიერად სიამოვნებით მიიღებს „ზინაური საქმიანობის“ რედაქცია და გადასცემს დანიშნულებისამებრ.



პირველი ფურცელი ბიბლიისა.

(პროფ. ბეტქისისა)

(დასასრული *).

სული ადამიანისა.

მეცნიერული აღიარების რედაქცია

„და შექმნა ღმერთმან კაცი, ხატად თვისად შექმნა იგი“...

თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა, სრულად გავიგებთ მხოლოდ მაშინ, როცა ხორცი აღსდგება მზესავით გაბრწყინებული. ადამიანის ხატი განკეთილშობილებულია მით, რომ ღმერთმა, თვით იელოვამ ღირს იჩინა მისი მიღება და მასში გამოეცხადა კაცთა, მაგრამ წერილის სიტყვები ეხება აგრეთვე ადამიანის სულის ძირითადს ძალებსა და თვისებებს, ამასთანავე ადამიანის დამოკიდებულებას დანარჩენ ქმნულებასთან. როგორც ღმერთი მეფობს მთელს მსოფლიოზედ, აგრეთვე ადამიანიც ღვთისა მიერ უნდა მთავრობდეს ქვეყანასა და მთელს ქმნულებას, რასაც იგი როდენიმედ ასრულებს კიდევაც, მიუხედავად თვისის დაცემისა. რასაკვირველია, ქმნულება უკვე აღარ არის ადამიანის ნებაყოფლობითი ქვეშევრდომი, რომელსაც იგი უნდა მართავდეს ღვთის სიყვარული-სამებრ მისთვის საკეთილოდ, არამედ იმის მაგივრად, რომ იყოს ქმნულების ღმერთად, — ვაი! ხშირად მათთვის ბოროტი სულია. მაინც კაცის უფლება კიდევ ღიღია. არც ერთს ქვეყ-

ნიერ ქმნილებას არ შეუძლია პასუხი მოსთხოვოს მას და შეეკითხოს: რისთვის შერები ამასო? მცენარე და პირუტყვი მთლად მის ხელშია; შეუძლია მცენარე ქვეყნის ერთი მხრისა მეორე მხარეს გადაიტანოს, სახე უცვალოს მას შეერთების გზით, და თუცა ჩვეულების გამო ასეთი მოქმედება ჩვენ მცირე-მნიშვნელოვანად მიგვაჩნია, მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ არც ერთს პირუტყვს არ შეუძლია ასე მოიქცეს.

ამგვარადვე ადამიანს შეუძლია არა თუ მოკლას პირუტყვი, არამედ აღზარდოს კიდევაც, დაამშვიდოს, დაჰგეშოს. ადამიანი რომ ქვეყნის ქმნილებას ისე არ უყურებდეს, როგორც მონას, რომელსაც მხოლოდ რაც შეგიძლია მეტი სარგებლობა უნდა გამოსწოვო და როგორც გინდა ისე აწვალო კიდევაც, არამედ სიყვარულით რომ ზრუნავდეს მის შესახებ, როგორც შეფერის ქვეშაირი მფლობელს, შეუძლია თავის მხრით ახლავე დაწყნაროს მრავალი „კენესა და ტანჯვა ქმნულისა“. გარდა ამისა ადამიანი ერთად ერთი არსებაა, რომელიც ფლობს ცეცხლს, ამ სტიქიონს ღვთის რისხვისას.

თუ პირუტყვის ზოგიერთი მოქმედება, მაგალითად, შენობის ხელობა წავისა, ერთი შეხედვით, მეტს ჭკუას ითხოვს, ვიდრე ადამიანისგან პირველ ხანებში ცეცხლის შოვნა მეხისგან ანთებულ ხეში ფიჩხის შედებით, მაგრამ მაინც არც ერთი პირუტყვი, მათ რიცხვში მაიმუნიც, არასოდეს არ მიხვედრილა თითქმის ამ უბრალო მოსაზრებასაც.

მსგავსება ღვთისა კიდევ უფრო ნათლად სჩანს ადამიანის სულის ძირითადს ძალებში, ვიდრე ბუნებაზედ მფლობელობაში. რა არის ხელოვნება და მეცნიერება ადამიანისა, ოპი და სახელმწიფოთა დაარსება, ქალაქთა აღშენება და დაწესება კანონთა, თუ არა მუდმივი გამოცხადება და გამოჩინება კაცის ღვთაებრივი სულისა, რომელიც ვერ პოულობს განსვენებას, სანამდი არ მოისვენებს თვით უკვდავსა და დაუსრულებელს ღვთაებასთან? რისთვის არ აკმაყოფილებს მას, როგორც ხარს, წყნარი ცოხნა საკვებით სავსე ბაგასთან? — მის-

** იხ. „ზინ. საქმ.“ № 15.

თვის რომ სული მსგავსებაა ღვთისა.

ეს ღვთის მსგავსება სჩანს სხვათა შორის ჩვენს სინიღისში. როგორც ღვთის წინაშე ვერ დასდგება მცირეოდენი ბოროტებაც, აგრეთვე ადამიანის ყოველი საქმე, სიტყვა და თითქმის განზრახვაც ჯეროვნად ფასდება და დაუღალავად განისჯება სინიღისის წინ. ხშირად მკვლევლები ნებაყოფლობით ეძლეოდნენ სასამართლოს დანაშაულის ჩადენიდან ათი-ოცი წლის შემდეგ და ითხოვდნენ დასჯას, ოღონდ კი გადარჩენილიყვნენ შინაგანი მსაჯულისგან საშინელსა და გადაუტანელს ქენჯვნას. ან შეხედე მდიდარს, რომელსაც შეუძენია ქონება ცუდი და უბატონსო მოქმედებით; იგი გამორჩევით ქაშ და სვამს თავის მდიდარ დარბაზში; მეგობრებიც აქებენ მას, როგორც ქვიანს, პატიოსანს და დიდ-პატივცემულ ადამიანს, და მასაც თითქმის ჯერავს მათი. მაგრამ, ვნახოთ, მეგობრები გაიფანტენ, სანთლებიც ჩაქრა; რა შეძრწუნებულად და მოუსვენრად შფოთავს იგი თავის მდიდრად მორთულ ტახტზედ და ცდილობს მხოლოდ ჩარჩობის შესახებ იფიქროს, ოღონდ არ გაიგონოს წყნარი ხმა, რომელიც განუწყვეტლივ უმეორებს ერთსა და იმავეს: „ქურდი ხარ“.

ხსოვნაც აგრეთვე დიდი ნიჭია სულისა. როგორი მფლობელობაა აქ დროსა და სივრცეზედ, თითქო მსგავსებაა ღვთის ყველგან-ყოფობისა! ოდესღაც, დიდი ხნით ადრე, შენმა სულმა მიიღო ესა თუ ის შთაბეჭდილება. გაიარა წლებმა, ბევრი რამე განიცადე, იგრძენი, მოიფიქრე, სთქვი და ჩაიღინე ამ ხნის განმავლობაში; ტანჯვათა მდინარემ გადაიარა შენს თავს, მცირეოდენმა სიხარულმაც გაგათბო და ახლა, როცა დიდი ხნით ადრე წასრულ შთაბეჭდილებათა და აწმყოს შორის სდგას, შეიძლება, მთელი ცხოვრება ადამიანისა, შენს სულს კიდევ აქვს ძალა გამოუძახოს თავის ნებისაებრ შორეულ წასრულის ოკეანედან ამა თუ იმ შთაბეჭდილებას. სამოცდაათის ანუ ოთხმოცი წლის მოხუცი კიდევ ხედავს იმ ოთახს, სადაც უთამაშია ბავშობისას, ესმის ხმა დიდი ხნით ადრე მიცვალებული დედისა. უეჭველია, ეს უზარმაზარი ძალაა ადამიანის სუ-

ლისა! როგორც დააკვირდნენ მოხუცებულ ადამიანებს, ავადმყოფებს, გიეებს და მომაკვდავებს ეს ძალა უფრო დიდია და სრული, ვიდრე ჩვეულებრივ წარმოდგენილი გვაქვს.

სინამდვილედ უნდა მივიღოთ, რომ ადამიანის სულს საზოგადოდ არაფერი ავიწყდება, მხოლოდ ესა თუ ის მოგონება დროებით იჩრდილება სხვისაგან.

ზოგჯერ სულის საიდუმლო სიღრმიდან სდგება მთელი თავგადასავალი; თითოეული მოქმედება, თითოეული სიტყვა, თითქმის თითოეული განზრახვა დამარხებულია ყოვლად მართლად, განშიშვლებულად, რათა სული განისაჯოს ყველა თვისი ცხად თუ ფარულ საქმისაებრ.

ბოლოს, განსაკუთრებით საკვირველი თვისება ადამიანის სულისა მეტყველებება! პირუტყვებსაც აქვსთ რაღაც მეტყველებასავით და შეუძლიათ ბგერით, ზოგჯერ ძლივს საგრძნობლად, გამოხატონ სიხარული და უბედურება; მაგრამ სიტყვა არა აქვთ და ჯერ ფრიალ მიმხვდარ ძაღლსაც არ მოუგონია არასოდეს თუნდ ერთმირიანი სიტყვაც, რომ ის ეწოდებია თავის პატრონისათვის. რისთვის? მისთვის რომ მას აკლია სული შემგნები კაცთა და ნივთთა ბუნებისა.

როგორც ქვეყნის გაჩენა ღმერთმა დაიწყო მით, რომ „სთქვა“, „უწოდა“, ამგვარადვე ადამიანს ქვეყნად საქმე დაიწყო სიტყვებით: „და უწოდა ადამ სახელები ყოველთა ცხოველთა“... რა ნაირი საკვირველი ნიჭია ადამიანის სულისა, ყველაფერი რაც რამ მასში არის და თვით საკუთარი თავიც შთასდოს სიტყვაში!

ბავთა და ენით შენ არხვე მცირეოდენს ჰაერს; ეს ჰაერის ანუ ხმის ტალღები წვდება შენი მოყვსის ყურს, და ისიც იმ წამსვე აგებს შენს უსაიდუმლოეს აზრებს. ამ გარეგნულად უმნიშვნელო მოქმედებით, ჰაერის ამ სიტყვის გამომწვევ მცირეოდენ შენძრევით, შეგიძლია ჩაიღინო ფრიალ კეთილი და ფრიალ ბოროტიც, აღძრა რისხვა, და ანუგეშო, წაიყვანო უკვლავნი სულნი ღმერთთან ან სატანასთან; სიტყვით იქმნებიან და ირღვევიან სამეფონი, შენდებიან ქაოქანი, მყარდებიან სახელმწიფონი და კანონი, ვითარდებიან ხელოვნებანი და მეცნიერე-

ბანი. და რა საკვირველად უბრალოა აქაც საშვალეება ეგზომის წარმომშობი! ხუთი ხმოვანი და დაახლოვებით ოცი უხმო ასო სავარისი იყო (და იქნება კიდევაც ქვეყნის დასასრულამდე) რომ 6000 წლის განმავლობაში ყველა განათლებულ ერს გამოეხატა ყველაფერი, რაც კი ადამიანის გულს შეუძლია იფიქროს, იგრძნოს, პოეტურად დახატოს, გამოიგონოს. ამ ოცდა ხუთს ნიშანში დაფარულია ყველა წიგნი, რაც კი ოდესმე დაიწერა, ანუ ახლა იწერება; ყველა ოდესმე წარმოთქმული სიტყვა, ყველა ენა და კილო, რომელზედაც კაცობრიობა ოდესმე ლაპარაკობდა, ანუ ილაპარაკებს. ბევრი შეუძლია ადამიანს გამოიგონოს, მაგრამ მხოლოდ არა ახალი ასო, არა მეექვსე ხმოვანი, გარდა იმ ხუთისა, რომელიც ღმერთმა მისცა მას. აქ ჩვენთვის რაოდენიმედ გასაგები ხდება, თუ რისთვის არის საუკუნო ძე ღვთისა საღმრთო წერილში „სიტყვად ღვთისად“ წოდებული.

თუ რა ძალა აქვს ადამიანის სიტყვას, მოწმობს სიტყვა ღვთისა: „რამეთუ სიტყვათა შენთაგან განმართლდენ და სიტყვათა შენთაგან დაისაჯო“ (მათ. 12, 37). აგრეთვე ნოეს სიტყვაც. მან სთქვა: „წყვეულ იყავნ ქანაან ყრმა; მონა იყავნ ძმათა თვისთა“, და ამით ქვეყნის მთელი ერთი ნაწილის ბედი ათასწლობით აღბეჭდა, ვინაიდგან მთელი მსოფლიო ისტორია ამტკიცებს, რომ აფრიკა ყოველთვის მონობის ქვეყანა იყო და რჩება ასეთადღე დღემდე; როცა ისააკმა იაკობი აკურთხა, ისავს უკვე ვერ უშვილა ვერაუთარ ხეწნამა და კრემლმა. სიტყვა უკვე წარმოითქვა და იაკობი დარჩა კურთხევის ქვეშ. ასეთია ძალა უფლისა მიერ ნათქვამი სიტყვისა! ამისთვის ჩვენი დროის ერთი სამწუხარო ნიშანთაგანი ის გარემოებაა, რომ ჩვენ შორის სიტყვა ასე ფასდებულა. ძველი ბერძენი და რომაელი კიდევ რაოდენიმედ აფასებდენ სიტყვას. სოკრატმა სთქვა: „უმართლო ლაპარაკი აუნებს სულსა“, „ილაპარაკე, რათა დაგინახო“. ამისთვის აღრზდის მთავარ მიზნად ქონდათ, ესწავლებიათ ადამიანისთვის ლაპარაკი მოკლედ, მოხდენილად და მართლად. დღეს კი რა უმნიშვნელო,

ცალიერი, უშინაირსო და ცრუ სიტყვათა ნაკადული იღვრება მთელს ქვეყანაზედ სიტყვიერმდ და ბეჭდვითად! რა ხშირად გესმის საზიზღარი შენიშვნა: „ეს მხოლოდ სიტყვებია“ და „სიტყვის ნაბეჭდვით!“ რა სამწუხარო მოვლენაა!..

მადლობა ღმერთს, რომ მის სიტყვას მეტი ძალა, მნიშვნელობა და ხანგრძლივობა აქვს, ვიდრე ადამიანის ეგზომ ფუქე სიტყვებს, და რომ თვით სატანაც წინ ვერ დაუდგება ღვთის სიტყას! სიტყვა ღვთისა სამარადისოა და შეუძლებელია წარხდეს. და ერთხელ რომ სთქვა უფალმა: „ვექმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა და შთავრობდეს იგი ქვეყანასაო“, — სრული აღსრულება ამ სიტყვისა, თუმცა შეყენებულია ცოდვისგან, მაგრამ არასგზით არ გაუქმდება.

გამოხსნილი იესო ქრისტეს მიერ, კვლავ შობილი და განახლებული ხატი ღვთისა, ადამიანი ოდემსე მთელ ახალ ქვეყანაზე გაშეფდებდა. მისი სიტყვა კვლავ მიიღებს აღმაშენებელ და მართლმსაჯულ ძალას. მაგრამ თავის უმწვერვალეს და უდიდებულეს მნიშვნელობას ეს სიტყვა — სიტყვა ქრისტეს მიერ სრული ადამიანისა — მიიღებს მხოლოდ მაშინ, როცა იგი ამით აღავლენს უკუნითი უკუნისამდე „დიდებასა და პატივსა და ძლიერებასა უფლისადმი, ვინაიდგან მან დაბადა ყოველნივე და ყოველი ნებითა მისითა არს და დააბადა“ (გამოც. 4, 11). ახალს დედამიწაზე დავინახავთ და დავიმკვიდრებთ ამ ქმნილებას კიდევ უფრო მეტი ბრწინვალეებით და დიდებულებით. (გამოც. 21 წ: „აჲ ესერა ყოველსავე ახალ ვპუოფ“). სამწუხაროა, რომ ბევრ ქრისტიანეს ასე გაქირვებით სწამს ეს მეორე ქმნილება! რომ ხე და ფრინველი, წყალი და მთა ნამდვილად არსებობს ქვეყნად, ამის უარყოფა მხოლოდ სულელს შეუძლია. მაგრამ იმავე ღმერთს, რომელმაც შექმნა ოდესმე ეს ყველაფერი შეუძლია აგრეთვე შექმნას ახალი დედამიწაც, სადაც ვიცხოვრებთ აღდგომილი ხორციით, — ეს დაუჯებლად მიაჩნიათ. ნუ თუ მარჯვენე ღვთისა შემცირდა, და შემოქმედს აღარ შეუძლია მეტი შემოქმედება? ჰოი მოუღრეკლო ურწმუნოე-

ბავ აღამიანის ბოროტი გულისა!

საკვირვებელია ეს თანხმობა ბიბლიის უკანასკნელი გვერდისა პირველთან. აქ სიტყვა ღვთისა მთლიანია, როგორც გამოცხადება (დასაწყის-დასასრულიანად) ღვთის საუკუნო განჩინებათა კაცობრიობის და ქმნილების შესახებ. — „დასაბამად ქმნა ღმერთმა ცა და ქვეყანა“. დასასრულ იგი ქმნის ახალსა ცასა და ახალსა ქვეყანასა.

სი სიკეთეს რქნეს მკვლელს

მზე და მთვარე ანათებენ პირველ დედამიწას და თითქმის სამოთხეშიაც იყო ღამე (1 მოს. 3, 8.) ახალი დედამიწის შესახებ თქმულია: „და ღამე არა იყოს მუნ. და არა სახ მარ იყოს ნათელი მზისა; რამეთუ უფალმან ღმერთმან განანათლნეს იგინი“ (გამოც. 22, 5), აღამი და ევა შიშველ იყვნენ — ნიშანი და გამოხატულება სამოთხის უმანკოებისა. ახალს დედამიწაზე აღდგომილნი დადიან სამოსითა სვეტაკითა — ხილული ნიშანი წმიდათა სიმართლისა. პირველს სამოთხეში აღამიანი ცხოვრობდა ხეთა ქვეშე ბაღისა; ახალ დედამიწაზე იცხოვრებს დიდ-დიდებულსა საუკუნო ქალაქსა შინა, რომელსა აქვდეს ბქენი მარგალიტისანი და უბანი ოქრო წმიდა და ვითარცა კიქა ბრწყინვალე. „და პირველი წყვეა — აღარ იქნება“ მომავალ დედამიწაზე. პირველ სამოთხეში კიდევ იყო „არა“; მეორეში — ყველაფერი „კი“ და „ამინ“. — „და სიკვდილი არღარა იყოს მერმე; და არცა გლოვა, არცა ღალადება, არცა ტყიელი არღარა იყოს მერმე; რამეთუ პირველნი იგი წარხდეს“ (გამოც. 21, 4)


მონაწილე გვეყენეს ჩვენცა უფალმან საკვირველისა ამის მემკვიდრეობასა ნათელსა შინა.

ონოფრე შვირი



რ ა ს ჩ ა ვ დ ი ვ ა რ თ ე ?

(გაგრძელება*)



I.

Давайте народу общее человеческое, и смотрите, что онъ способенъ принять, чего не достаетъ ему? Вотъ это угадайте! *Станкевичъ.*

Мы не должны составлять себѣ сужденія ни о какомъ предметѣ, котораго мы не понимаемъ со всею ясностью и отчетливостью.

ამ რეაქტორში ძალიანა რეაქტორი

ცხოველების და აღამიანის ორგანიზმის ანატომიურად და ფიზიოლოგიურად გამოკვლევა და შესწავლა არამც თუ არ რეაქტორს უღმრთობამდე, პირიქით მეტს სარწმუნოებას და სსსოებას მოგებრის, ვინაიდან მოუწოდებლობა და საკვირველება, რომელსაც ჩვენ კვლავდობთ ღვთის ქმნილებაში მეტს შიშსა და სარწმუნოებას გაძღვეს ღვთისადმი, ისე როგორც გენიოსმა და შესწავლამა შეკვლევარმა ნიუტონმა აგრძენა შიში და ღრმა სარწმუნოება წინაშე ღმრთისა ბაღში უბრალოთ გაშლის ჩამოკარდნით, რომელ მოკლესში ნიუტონმა შემდეგ ღრმა დაკვირვების აღმოჩენა ღმრთის ქმნილებათა სიადუმილება. ამ შემთხვევის შემდეგ ნიუტონი ისე არ ახსენებდა ღმერთს რომ ქუდი არ მოეხდა. მეცნიერი რომ რომელიმე მოკლესს დააკვირდეს და შემდეგ ღრმა შესწავლის ფარდა ახადოს იმ სიადუმილებას, რომლითაც მოკლულია აღნიშნული მოკლესი, ეს იმას კა არ ნიშნავს, რომ ამ მოკლესს საკუთარი შემოქმედი არ ჰქადავს, პირიქით ეს იმას ნიშნავს, რომ აღამიანა დაკვირვებულთა ღმრთისაგან დიდის ნიჭით, რომლის წყალობით მან ბევრი რამ სსსარგებლო გამოიღწია, გამოიგონა და კიდევაც გამოიკვლევს და გამოიგონებს და თუ სოკოურთმა მეცნიერმა, ამ კვლევა ძიებით თავბრუ დასხმულმა, დაივიწყა ღმერთი და უკვლავიუ მიაჩნა თავის ნიჭს, ეს იმის ბრალდა რომ აღამიანი სსსოკადით

*) იხ. „შინაური საქმე“ № 14.)

„გოგონის ტია“ და სურს ყოველს შემძლებლობაზე დაინჰმოს, როგორც შემთხვევებიც მხოლოდ ახომადიებს წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიაში.

ა. გომართული მთელს თავის მოსაზრებას აიყარებს ბუნებაზე. ყველაფერი, მისი აზრით, ბუნებაში წარმოშობა. ყოველივეს შემოქმედი და გამჩენი ღმერთი მას არ სწამს, არავითარი ღვთაებრივი მის გულს არ ეკარება. მაგრამ საკვირველი ის არის რომ ყოველივე ცდას, ექსპერიმენტს აქსიომის ხასიათს აძლევს; იგი სშირად სმაბობს ასეთს ფრაზებს: „მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ სულიერი ცნობებს ტენის ქერქში იხადება“ და სხვა (გვ. 14) ჩვენს აზრით ასეთი ფრაზები მაშინ უნდა იხმაროს დამწერმა, როდესაც რომელიმე გამოკვლევაში მათემატიკურს სისწორეს და სინამდვილეს ხედავს, თორემ ყოველი თეორია რომ დამტკიცებულ აქიომად მივიღოთ, კრიჭა! სან წაჯალთ?! ასეთი თეორიები რამოდენი იყო?—ვერს ელვარებას ქვეყნის გაჩენაზე, მერმეთ დემოკრატისა, შემდეგ ლოკისა, კანტის და ლაშლასისა, ბოლას დარვინისა და სპენსერისა. მაგრამ ესენი იყვნენ თეორიები, რომლებსაც თავისი დრო და უში ჰქონდა. თათრულ დასახლებულ თეორიის დროს რომ გვეძახს გომართულიაგით „მეცნიერულად დამტკიცებულია“, მაშინ აი რამოდენ დამტკიცებებს მივიღებდათ ერთს და იმავე საგანზე: 1, ელვარტელ ფელდსოფისებისა (ფელდსა, ანქსიომენი, ანქსიომენდრე, რომ ყოველივე რასაც კსედავთ გაჩნდა წყლის, ჰაერის, ცეცხლის და ნივთიერებისაგან; 2, დემოკრატის თეორიით მთელი ქვეყნის წარმოსდგა ატომებისაგან; 3, კანტის და ლაშლასის თეორიით ქვეყნის წარმოსდგა გაზისებურ ნივთიერების შეკუმშით და გაშლით; 4, დარვინისა და სპენსერის თეორიით ყოველივე წარმოსდგა თვითნებობითა შთასახვით (путем произвольнаго само зарождения) და ბეერი სსვანო.

წარმოადგინოთ რომ ყოველივე ბუნებისგან წარმოსდგა და ემორჩილება ბუნების წესებს. ავალთ უბრალო მაგალითი: და-მმა, კაცი და ქალი ერთი დედისგან დაიბადნენ; ორივე ერთს ორგანიზმში იყო დაბადებულნი, ერთი ჰარობის გაუფენას განადრდნენ; დაბადების შემდეგ მშობელი დედა ზრდას მათ და ასაზრდადებს საკუთარს ძეგუთი და ერთი

და იმავე საჭმელ-სასმელით. რით ახსნება ის გარემოება რომ ერთს და იმავე ჰარობებში მეოფს კაცს და ქალს ჰარველს წვერა და უღაში მოსდას. მეორეს კი არა? ჰარველს უმეტესად უხნდება თაგზე ბელატა (მელტო) მეორეს კი არა, თუმიც იმა მთელს სიციცხლეში მოშვებული აქვს.

ა. გომართული რაც შეიძლება ცდილობს დაკვიროს მსმენელი საზოგადოება რომ არავითარი ღმერთი და სიციცო ცნობება არ არსებობს, რომ ყოველი ეს ზღაპარია სასულიერო წოდებისაგან მოგონილი გაუნათლებელი ხალხის თქალის ასახვევად და თავის სასარგებლოდ დასამჩნებლად. ამ მიზნის მისაღწევად მან სინო აუცილებელ საჭიროებად, რომ თვით წმინდა მამებსაც ასე აფიქრებისოს, როგორც ფიქრობს თვითონ გომართული და აი კადვეც მოკეთისრობს: „წმინდა მამებს რომ მიმართოთ, ზოგი ტენში ათავსებს: სულს, ზოგი გულში, ზოგი მთელს სხეულში“. (გვ. 7). აქამდე თუ შეიძლება რა ციცილია: „შეკავებს, ახლა კი აღარ შეიძლება; მაგრამ სიციცოთის საბრალულად გებადება ახარებულ ქველვარისადმი არ ვიცო სანდ გამონახს გომართულმა ასეთი მამები და ისიც „წმინდება“, როგორც უწოდებს იგი მათ, რომელნიც უარს ჰყოფენ აღმინის სოლის ღვთაებრივ დასაბამს? ასეთ მამებს წმინდა მამების ახელი რით უნდა ერქვას. ისინი როგორ გაჩერდებოდნენ ელვსისის კათედრზე? ეს სომ ფარსეულობა იქნებოდა?!—ჩვენ ვერ ვბოულობთ წმ. მამების ასეთის ქმნილებებს და თუ გომართული მაგალითითებს მადლობელი დავრჩებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, დეე, დარწმუნდეს იგი, რომ მას არაფერი არ ეკუთვნის საეკლესიო ისტორიის და მამათა ცნობებისა და, როგორც ასეთი, არის შჭადეგებელი სასაცილო ობსურდია. ასე ახარებულად აზრების გასაღებას სასიციცო და სახაფათოც. ამის მიხედვით ნებაუნებლით მაგონდება ისტორიკოსის ბოკლას სიტუვება, რომელნიც ჩვენს წერილის თავში ეპოვრფად გაკვსმოკვანიალი: „ჩვენ არ უნდა ვადკენდეთ მოსაზრებას ისეთს საგანზე, რომელიც არ ეკავს კათოლიკისწინებული სრული სიციცადით და სინამდვილით.“

შემდეგ თავის უფუთო აზრების კათომ და მეცნიერულად დაკანონებისა და დამტკიცებისა გა-

ხატობის გამართული: „ბრმა რწმენას ფასი დაეკარგა, ის მხოლოდ უგუნურებში სადღება კიდევ და ამიტომ დღეს მხოლოდ უმეცარნი იმეორებენ დაჟინებით: სული არსებობსო. მაგრამ მარტო უმეცარნი კი არა,—მთთან ერთად ვეკლა ისინი, ვისთვისაც ხალხის უმეცრება და შეუგებლობა ფრიად ხელსაყრელია“. (გვ. 24) აქ გამოსჭვირს არა მარტო არ ცოდნა საეკლესიო, ისტორიისა არამედ უკადრისი ცილის წამება ყველა „იმაზე“, ვინც ეწამა ქრისტიანობისათვის. ქრისტიან მონაწილეებს და წმ. მოწამეებს რომ ასე ილაპარაკოს კაცმა. იგი სინადისასგან უნდა იყოს გარეცხალი, ვინაიდან ეს ურცხვი ცილის წამება და სხვა არაფერი. მოხუცი პეტრე მონაწილე ვეკრზე ეწამა ღვთაებრივი სარწმუნოებისათვის ჰალე მონაწილეს და ითანხუ ნათლას მცემელს სიმართლას თქმისათვის თავი მოტყუეს; ღრმად მოხუცი ითანხუ ღვთის მეტყუელი ფასით სავსე ადუღებულს ქვაში ჩაგდეს... და ან რადღენი დაჯასხელთ!! და ვეკლანი აუწყრელს სიღარიბესა და სიღატაკეში სცსოგრობდენ და არც ღებულობდენ არაისაგან არაფერს.

ქმინდა მამიბიც საკვირველის თავგანწირულებით და უნგაროთ ემსახურებოდნენ კაცობრიობას. „უკველივე სხვისთვის და არაფერი თავისთვის“, აი მოკლე მისწრაფება წმიდათა მამათა; ნაკოლოზ საკვირველთ მოძებნე ცოდვად სთვლიდა ისეთს ქველმოქმედებას, რომელსაც სხვა გააკებდა. ითანხუ რქრობირი, ეს შესანიშნავი მქადაგებელი და მთავარეპისკოპოსი, სიღარიბეში და უძღვრებაში გარდაიცვალა კომანაში, აფსაზეთის ახლას. ასეთები იყვნენ მონაწილენი და მამანი ქრისტიანთათვის წამებულნი. ნუ იფიქრებ, შეათხელო, რომ მთარიცხვი აღნიშნული პირებით გაისაზღვრებოდეს. არა! იგი უთვალავია. აქ მხოლოდ ნიმუშები მოვიყვანეთ. ნუ თუ ეს თავგანწირული მებრძოლენი თავის სარგებლობისათვის მოღვაწეობდენ? ნუ თუ იმათთვის ხელსაყრელი იყო ხალხის უგუნურება? ეს შეათხელოს საღმრთო გონებას განსაკლას!!

ივერიელი.

(შემდეგი იქნება.)

ი რო დ ი ა დ ა.

გ უ ს ტ ა ვ ფ ლ ო ბ ე რ ი ს ა

თარგმანი ფრანგულიდან *).

მთებიდან მომავალ გზებს გაცოცხლებს ნიშანი დაეტყო: მწყემსები ბუბის წვერებით ნახირს მიერეკებოდენ, ბავშვები ვირებს მიიჩინებოდენ, ჩალუდრები ნელ-ნელა მიიზოზინებდენ დასაპალნებულ ცხენებს. ესენი იყვნენ ჰეროდეს კაცები, რომლითაც სალბინო სანოვაგე მოჰქონდათ, და სტუმართა წინ და წინ გამოგზავნილნი მოსამსახურენი.

უეცრივ, აივნის მარცხენა მხარეს გამოჩნდა ფეხ-შიშველა ესეელი. იგი მთლიან თეთრში იყო გახვეული და სტოიკის შესახებ დაობა ჰქონდა. დანა—ამოწვდილი მანაი მოწყვეტ გაექანა მისვენ.

—მოჰკალ!.. მოჰკალ იგი!..—დაიკვილა იროლიადამ.

—შესდევ!..—მიამხა მას ტეტრარქმა.

მანაი და უცნობი ერთი წუთით შეჩერდნენ და უკან-უკან იწყეს წვევა, სანამ კიბეებს იქით არ მიიმაღლნენ.

—მე ვიცნობ მაგას—წამოიძახა იროლიადამ—ეგ ფანუელია! მაგას, ალბათ, იოაკანამის ნახვა სურდა, რადგან შენ იმდენათ უძლური ხარ, რომ იგი ამდენ ხანს კიდევ ცოცხალია!..

ჰეროდე მოჰყვა თავის მართლებას. იგი ამტკიცებდა, რომ იოაკანამის სიცოცხლე მათთვის თანაბრად სასარგებლოა, რადგან ჰერობილი სულ იერუსალიმს ამხილვს, ებრაელებს სძულთ იგი და საქიროების დროს ჩვენ მხარეს დაიჭერენო.

* იხ. „ზინ. საქ.“ № 14

— არა— წამოიძახა ქალმა— ებრაელნი ყველას ემორჩილებიან! მათ არ შეუძლიათ შეჭმნან სამშობლო და იგი, ვინც ხალხს აღელვებს სხვა და სხვა ცრუ იმედებით, ღირსია სიკვდილისა. აი, თვით უტყუარი პოლიტიკა!..

— ერიპა, რა მოგონა!.. ეგ მე არ მენქარება, იოაკანამი კი—საშიშია!—და ჰეროდემ, განგებ, უმარილოთ გაიღიმა.

— ხმა ჩაიკმიდ!—შიაძახა მას იროდიადამ.

მან ხელმეორეთ უამბო ქმარს ის შეურაცხება, რომელიც მას, იროდიადას, მიაყენეს, როცა იგი ბალზამისათვის გალაადს გაემგზავრა: მდინარის პირას ვილაც შიშველი ხალხი იმოსებოდა; იქვე გორაკზე იდგა კაცი და ჰქადაგობდა. მას ტანთ ერტყა აქლემის ყელის საბელი და თავი ლომისას უგავდა.

— დამინახა, თუ არა—ამბობდა იროდიადამ—მაშინვე მომავარა წყევამ-კრულვამ წინასწარმეტყველთა. მისი თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ, ხოლო ხმა მგლის ყმუილს უფრო ჰგავდა, ვიდრე კაცის ხმას. იგი ცას უბოტინებდა ხელებს, თითქოს იქ უნდა მების ისრები იშოვნოსო. გაქცევა აღარ შეგვეძლო, რადგან ეტლი ღერძამდე სილაში დაეფლა და ძალაუმიადურად ძლივს მოვშორდი იმ საზიზღარ კაცს, რომლის გოდება მეხივით თავს მატყდებოდა!..

იოაკანამი უმწარებდა იროდიადას სიციოცხლეს. როცა იგი დაატყვევეს, ჯარის კაცთ უბრძანეს: „თუ წინააღმდეგობა რამ გაგიწიოსთ, დაჰკალით, ვით ღორიო“. მაგრამ ამ ხანათ მან არა ჩვეულებრივი სიმშვიდე გამოიჩინა. საპყრობილეში რომ შეაგდეს, მიუსიეს მას გველები, მაგრამ ქვემძრომნი იმ წამსვე დაიხოცნენ. საკუთარი უნაყოფო ვერაგობა გულს უხეტქდა იროდიადას. რისთვის სდევნიდა იგი მას? რა აიძულებდა? მისი, ხალხისადმი მიმართული სიტყვები ქვეყანას ედებოდნენ, მათ იმეორებდნენ, იგინი ცას და ქვეყანას ავსებდნენ—იგინი ყველგან და ყოველთვის ესმოდა მას.

იროდიადამ არ იყო სიმტკიცეს მოკლებული, მაგრამ ეს ძალა, უფრო ბასრი, ვიდრე სა-

ტვერის პირი, რომლის წინააღმდეგობა არ შეუძლო, რაღაც გაქვავების მსგავს მდგომარეობაში ავდებდა მის ტანს. იგი შეუჩერებლივ მიდი-მოდიოდა აივანზე და სიტყვები ვერ ეპოვნა იმის გამოსახატავად, რაც ასე სასტიკად მუსრაფდა მის სულსა და გულს. თანაც უცნაური ექვი უღმობელად ღრღნიდა მის არსებას: ვაი, თუ ტეტრარქმა უტიოს ხალხის მითქმა მოთქმას და გამეყაროსო!

— მაშინ ხომ ყველაფერი დაიღუპა?!..

ბავშვობიდანვე მისი ოცნება ხომ იგი იყო, რომ როგორმე დიდი სამეფოს პატრონი გამხდარიყო. და აი, რომ გაეხორციელებინა ეს ოცნება, მან განიზრახა გაშორებოდა ქმარს და შეუღლებოდა მას, ვინც ასე უღვთოდ ატყუებდა.

— კაი თავშესაფარი კი ვნახე, შენ ნუ მომიკვდე, რაღაი შენს ოჯახში შემოველ!

— ჩემი ოჯახი შენსაზე ნაკლები არ გახლავს!..—მშვიდათ მიუგო ტეტრარქმა.

იროდიადას ძარღვებში მსწრაფლ წინაპრების—მეფეებისა და მღვდელმთავრების—კეთილშობილური სისხლი ადულდა.

— ბაბუა შენი ასკალონის ტაძრის მგველი იყო. დანარჩენი შენი ნათესავეები კი—მწყემსები, ავაზაკები, მექარავენები! მაწანწალანი—იგინი დავითის მეფობის ღროდიდან ხარკს აძლევდნენ იუდას.

— მაკაბელნი არ იყვენ, რომ გებრონიდან გამოგდევნეს? გირქანი არ იყო, რომ ძალაუნებურად წინადაცვთა დაგიდგინათ?..

იროდიადამ აუშვა გრძობა სიძულვილისა და მოჰყვა ჰეროდეს ლანძღვას, რომ ყურადღებას არ აქცევს თავის შეურაცხებას, ბევრს უთმობს თავის მოლაღატე—ფარისევლებს და ეშინია იმ ხალხის, რომელსაც იგი სძულს.

— გატყდი, რომ შენც ისეთივე ხარ, როგორც იგინი! შენ ნანობ, რომ დასტოვე არაბის გოგო, რომელიც ქვებს უტრიალებს გარშემო და შესთამაშებს; დაიბრუნე უკანვე და გყავდეს! გასწი, იცხოვრე მასთან ბაბუის კარავში, სთქვლიფე მისგან ნაცარში გამოძვხვარი კვერი და ეამბორე მის მწვანე ლოყებს!..

მაგრამ ტეტრარქს მისი აღარა ესმოდა. იგი დააშტერდა მახლობელ სახლის ვაკე სახურავს, სადაც შეამჩნია ახალგაზდა ქალი; ქალის გვერდით დედაბერს ეკავა დიდი, სასროლ ბადესავით ვადაშლილი, ლერწმის ტარიანი ქოლგა. ნახის შუაგულს თავ ახდელი სამგზავრო ყუთი იდგა. ახალგაზრდა ქალი სათითაოდ იღებდა ყუთიდან ნივთებს და ანიავებდა; რომაულად ჩაცმული იყო: ტანთ მსუბუქი ტიონიკიანი კაბა და ზურმუხტის ლილვებიანი პეპლები ეცვა. იას ფერი ბანტები იმაგრებდნენ მის ნაწნავებს. ქოლგა ნახევრათ აჩრდილოებდა მის ტანს, ასე რომ, ჰეროდემ ორჯერ ძლივს მოავლო თვალი მის ფიქალივით თეთრ კისერსა და მოხდენილ სახეს. იგი ზედავდა, როგორ იხრებოდა და სწორდებოდა ახალგაზდა ქალის მოქნილი ტანი; უთვალთვალებდა, აბა როდის დაიღუნოს კიდეო და სულის ამოდება უძნელდებოდა, თვალებში ცეცხლი ენთებოდა. იროლიადა ზედავდა ყველა ამას.

— ვინ არის იგი—გაუბედავად იკითხა ჰეროდემ.—

მან მიუგო არ ვიციო და გულმოსული ჰეროდემ სასახლისკენ გაემართა. უმთავრეს შესავალთან მას ელოდნენ გალილეველი: მწერლობითი ნაწილის უფროსი, საძოვრების უფროსი მეთვალყურე, მარილის მადნების გამგე და ცხენოსანი ჯარის მთავარ სარდალი იერუსალიმელი ებრაელი. ყველანი მეგობრული დიმილით მიესალმნენ. მან წყნარი ნაბიჯით შეუხვია შუა სამყოფისაკენ.

უეცრივ მის წინ გაჩნდა ფანჯალი.

— შენ კიდევ აქა ხარ?.. აღბათ იოაკანამის სანახავათ მოხველ?

— და შენ სანახავადაც! მე მსურს შეგატყობინო საგულისხმო ამბავი!—მიუგო ფანჯალი და უკან გაჰყვა.

დარკინულ ფანჯრებიდან სინათლე ოდნავ შემოდინდა და ჩუქურთმებს აკიაფებდა. კედლები სადგომისა მოშავო საღებავით იყო შეღებული. უკანა კედელთან ხარის ტყავ გადაკრული ხის ტახტი იდგა. სასთუმლის სწორა მზესავით პრილა ოქროს ფარი ეკიდა.

ანტიპამ წყნარად გაიარა მთელი ოთახი

წყნარადვე ტახტს დაესვენა. ფანჯალიმა ხელები ზეცას აღაპყრო და მგრძნობიარეთ წარმო-სთქვა:

— უზენაესი გამოგზავნის ხოლმე დრო და დრო ერთ-ერთ თავის ძეთაგანს... ასეთია იოაკანამი!.. თუ შენ იგი შეავიწროვე—სასტიკი სასჯელი მოგელის!..

— იგი მდევნის მე—წამოიძახა ტეტრარქმა—იგი შეუძლებელს ითხოვს ჩემგან! ეს ერთი ხანია, იგი ყოველნაირად მამკირებს. პირველად მე მშვიდათ ვეპყრობოდი, მაგრამ მან მაქერუზიდან კაცები მოგზავნა, რომელნიც ჩემ ქვეშევდრომთ აღელვებდნენ; იგი მდევნის, — ხოლო მე თავს ვიცავ!..

— დიად, იოაკანამი მეტათ ფიცხია, მაგრამ, რაც უნდა იყოს, იგი უნდა გაათავისუფლო!

—მხეცებს ნებაზე არ უშვებენ!..

— მაშ, ნულარ სწუხხარ, იგი წავა არაბებთან, გალლებთან, სკვიტებთან; საქმეს, რომელსაც, იგი ემსახურება, დანიშნულვებათ აქვს დაჰუაროს კიდენი ქვეყანისანი!

ანტიპა ჩვენების მსგავსმა მდგომარეობამ უთანთქა.

— მისი უფლება დიდა! მე—ჩემდაუნებურათ, მიყვარს იგი.

— მაშ, თუ აგრეა, გაათავისუფლე!

ტეტრარქმა უარის ნიშნათ თავი გააქნია. მას ეშინოდა იროლიადასი, მანნაისა და თვით უცნობი მომავლისა.

ფანჯალი სტდილობდა როგორმე დაეყოლებია იგი. თავისი სიტყვების დასასაბუთებლათ მას მოჰყავდა ის აზრი, რომ ესეელნი ყოველთვის ყურ მოჭრილი ყმები ყოფილან თავიანთ მეფეებისა: ეს ლარბი, უშიშარი, ფანქელას ტანისამოსში გახვეული ხალხი უნებლიეთ გაგძნობინებდათ მისდაში პატივისცემას. ანტიპას გაახსენდა ბაასის დასაწყისში ფანჯალისაგან ნათქვამი სიტყვები.

— რა ამბავია ის საყურადღებო ამბავი, რომელზედაც წედან მეუბნებოდრი—იკითხა ჰეროდემ, მაგრამ პასუხის მიღება ვერ მოასწრო, რომ უეცრათ კარებში გაჩნდა მთლათ გამტყვრული ზანგი და აკანკალელებული ხმით ძლივს

წიბლუკუნა:

- ვიტელიი!..
- როგორ?... აქ მოდის?..
- მე ვნახე იგი... სამ საათში იგი აქ იქნება...

თითქოს ქარმა დაუბერაო, მოაჯირის ფარდები შეინძრენ, ხმაურობამ მოიცვა მთელი კოშკი: ბრიგინ-ბრიგინი მოსირბილე ხალხისა, რომელსაც სხვა და სხვა ავეჯოულობა შემოჰქონდა; წკრიალ-წკრიალი ვერცხლის ქურქლებისა... ხოლო კოშკის სიმაღლიდგან ბუკები გრგვინავდენ და გაბნეულ ყმა-მოსამსახურეთ უწოდებდენ.

ა. მაქსიმოვი.

(შემდეგი იქნება.)



კინტოური მწარლავის ეპისტოლე.

რუსთაველი ჩვენ არ მოგვწონს მით, რომ სწერდა გენივრულად;.. ჩვენმა კკუამ ის გვაძილა, სჯობს, რომ ვსწეროთ კინტოურად.

კინტოური—ადვილია, არ სჭირია კკუა—ნიჭი;— რუსთაველის მაღალს მუზას კი, ვერ მისწვდა ჩვენი ნიჭი;..

ვსცადეთ, მაგრამ ვერ ვაღვრეთ მისებურად ჩვენი ქნარი, — კინტოურად კი კარგად ვსწერთ უაზრო, და კკუით მტკნარი.

მგონები ვართ ეხლა ყველა: კინტო, მინტო,—დუქნის ბიჭი, რას გვაკლით თუ არა გვაქვს პარნასული—ზენა ნიჭი?!

მუშტრები ხომ ბლომად გვეყვს კკუით ბალღი ჩვენი ხალხი;.. მით ვამაუობთ, ბედაურად— რომ საღდება ჩვენი ბახი...

ქაიხოსრო გვლოვანი.



საზოგადოების საშუალებად.

(ბ. ნ. ბურჯანაძის წერილის გამო „დროება“ № 72 ნომერი)

იყო ერთი ახალგაზდა, სახელად ნარგაზიო,—მოგვიტორობს ბერძნული მითოლოგია,—რომელსაც ისე უყვარდა თავისი თავი, რომ წყალში დაიწახა და ნამეტანის მისის ტრფიალებით თან გადაჰყვაო: ჩაქარდა წყალში და დაიღუპაო, ეს ზღაპარი მისი მომასწავებელია, რომ ვისაც მარტო თავისი თავი უყვარს და სხვა აღარ აგონდება რა, ერთხელაც არის დაიღუპება.

აკაკი.

ძნელია პოლემიკა ისეთ ადამიანთან, რომელიც ყოველ ნაბიჯზედ სიმართლეს გაურბის, რადგან სინათლის ეშინია ისე, როგორც ბაღლინჯოს. ბ. ნ. ბურჯანაძე თავის წერილში უსირცხვილოდ და წარბ-შეუხრელად იმეორებს: „არავითარ სასამართლოს ადგილი არა ჰქონიაო; ნაცვლიშვილმა ცილი დამწამაო; ყალბი წერილი მოათავსა და რედაქცია შეცდომაში შეიყვანაო; ნ. აბზიანიძემ მითხრა მისი თანადასწრებითო, რომ ნ. მესხმა შემოიყვანა შეცდომაშიო, ეს სატყვეები ნაცვლიშვილმაც დამიდასტურაო; ნაცვლიშვილის წერილსაც წილი უდევს ჩემი საქმის არა სასიამოვნოდ დაბოლოებაშიო და ეხლა, „რადგან იგი სწერს პირველ წერილში „როგორც გავიგე, ისე დავწერეო“ იმედია მიიღებს ზომებს და დაითანხმებს აბზიანიძეს სამართალში გამოსვლაზეო და მაშინ დასწეროს, თუ როგორ იყო საქმის საქმის გამოკვლევაო და სხვა...“ ამდენი სიცრუის შემდეგ თავს მიხვევს და კიდევაც მამბრეყვებს ბ. ნ. ბურჯანაძე, ხელახლად თუ გაირჩევა საქმე, მაშინ დავბეჭდო, მისი აზრით, ვითომ და უფრო სწორი წერილი. ამ სიცრუით და გზის გადახვევით მას შეითხველი საზოგადოება და ზოგიერთი ეურნალ-გაზეთები შეყავს შეცდომაში, მე უსაბუთო ლანძღვავენებით და მრავალ-გვარი ცილის წამებით და მასხარაობით მიმასპინძლებიან, ამის გამო შე

არ შევედგები აქ თვითნებური მისი სიცრუის და ფაქტების გადამახანჯების გარჩევას, რადგან წინა წერილებში („დროება“ №№ 26 და 51) გამოვარკვიე ყოველივე, ხოლო ვუბასუხებ მას ახალ სიცრუეზე: 1) მე არ მითქვამს პირველ წერილში, „როგორც გავიგე, ისე დავწერე“, არამედ ვუბნობ: „რაც გავიგე, ყოველივე გულწრფელად ვაღიარე“, (იხილეთ „დროება“ მე-26 ნომერი). ამ ორ წინადადება შუა დიდი განსხვავებაა.

2) აბზიანიძეს არ უთქვამს იმისთვის, „ნ. მესხმა შემიყვანა შეცდომაში“ და არც მე დამიდასტურებია ბ-ნი ბურჯანაძისთვის ასეთი სისულელე, ამის საბუთიც ხელში გვაქვს. 3) მისი საქმე, შესახებ ჩვენ შორის ატეხილ პოლემიკისა, ჯერ არ დაბოლოვებულა, ნუ ატყუილებს საზოგადოებას, არამედ დაბოლოვდება, როდესაც სასწავლებელთა გამგე კამისის წევრი, რომელსაც მინდობილი აქვს ამა საქმის გამოძიება, დაამთავრებს საქმეს, რაიცა გათავდება ამ თვეში; რაც შეეხება მის ქუთაისიდან გორში გადასვლას საცხოვრებლად, ეს თვითონ მან კარგად იცის, ვისი ან რისი ბრალია; შინაურ უსიამოვნებას და უთანხმოებას ნუ აწერს ტყუილად. 4) დასასრულ, რადგან გაიძახის, რომ „არავითარი სასამართლო არ ყოფილა“, და მე ვითომ შემეთხზოს ყოველივე და ყალბი წერილი დამებეჭდოს, რათა ჩირქი მომეცხოს მისთვის, ამის გამო ვადგენ რედაქციაში შენიშვნის გასაკეთებლად განჩინების პირს*).

*) ამასთანავე რედაქციაში წარმოდგენილ იქნა პირი განჩინებისა, რომელიდანაც სჩანს, რომ სასამართლოს მხარეების შეთანხმებით და მათი ხელწერილის დადების შემდეგ გაუჩინებია 20 ნოემბერს 1908 წ. ნ. აბზიანიძის და ვ. ბურჯანაძის შორის ჩამოვარდნილი უსიამოვნება და დამნაშავეთ უცენია ვ. ბურჯანაძე იმ ბრალდებებში, რასაც აწერდა მას ნ. აბზიანიძე, ესე იგი ყალბი წერილების შედგენაში. მედიატორებს ვ. ნაცვლიშვილს, დავ. ჩადუნელს, ალ. ცხადაძეს, ავქ. ლორთქიფანიძეს და მ. კაკაბაძეს დაუდგენიათ ვ. ბურჯანაძემ ბოდიში მოიხადოს ყველა ამხანაგების თანადასწრებით ნ. აბზიანიძისთან და ამის შემდეგ მათი შორიგება აქედან ნათლად სჩანს, რომ ლადო ნაცვლიშვილს დაუბეჭდია „დროების“ მე-26 ნომერში ნამდვილი სიამართლე და სასამართლოს დადგენილება და არა ტორები. განჩინების პირს ამოწმებენ 20 დეკემბრის რიცხვით ვ.

რათა მკითხველმა საზოგადოებამ გაიგოს, რომ მე დავბეჭდე ის, რაც სასამართლომ გამოაკვლია. ნუ თუ ბ-ნი ბურჯანაძე კიდევ გაიმეორებს, რომ სასამართლო არ ყოფილა და მით მოატყუილებს საზოგადოებას და გავარცხლებს ხმებს, რომ მოწინააღმდეგენი მე გამოვიწვიე და არ გამომყვენო! არც გასაკვირველია, რომ გაიმეოროს, რადგან ყოველ წერილში ნათქვამს აუკუღმართებს, ფაქტებს ამახინჯებს და წყალწაღებულებით ხავსს ეჭიდება. ბ-მა ბურჯანაძემ ნ. აბზიანიძე და ნ. მესხიც გამოიწვია ღღეს ვითომ სამართალში, რათა შეეტყობინოს მკითხველ საზოგადოებას, რომ ჯერ „არავითარი სასამართლო არ ყოფილა“; ნ. მესხი დაეთანხმა, მაგრამ მერმედ ბ-მა ბურჯანაძემ აღარ ისურვა, „მესხი შეცდომით გამოვიწვიე სამართალში“, აბზიანიძემ კი უარი უთხრა, რადგან სასამართლო ერთხელ უკვე იყო და ბურჯანაძე დამნაშავეთ იქნა ცნობილი. ბ-მა ბურჯანაძემ კარგათ იცის ეს, მაგრამ მაინც უნდა იყვიროს საზოგადოებაში; „ცილი დამწამეს და, ხედავთ, ესლა მოწინააღმდეგენი არ გამომყვენ სამართალშიო.“ კიდევ ვუმეორებ ბ-ნ ბურჯანაძეს, რომ მე ცილი არ დამიწამებია მისთვის და არც ყალბი წერილი დამიბეჭდია, არამედ დავბეჭდე ის, რაც სასამართლომ აღმოაჩინა და დაადგინა, რომელიც მას გამოუცხადეთ 21 ნოემბერს და კიდევაც მიიღო, ხოლო მერმედ აღარ მოგვაყვანია სისრულეში განჩინება, რაიცა თავდებოდა უბრალო ბოდიშის მოხდით ამხანაგების თანადასწრებით და ჩააგონა თავის სამ ამხანაგს (მოსამართლებედ იყვნენ) ორიგინალი განჩინებისა მოეტაცნათ და მოესპოთ, რამაც გამოიწვია პრესაში გამოქვეყნება. ბ-ნი ბურჯანაძე ზრახავს მას, ვინც საქიროების დროს დირექციაში შედის, ის კი ავიწყდება, რომ მან, როდესაც ახალ გახსნილი მეოთხე სკოლა აკურთხა, მო-

ნაცვლიშვილი და ალ. ცხადაძე, დანარჩენი სამი მედიატორე კი უარს ჰყოფს და სამართალში იწვევს ნაცვლიშვილს (იხ. „დროება“ მე-40 ნომერი). მედიატორებად დანიშნულია დ. ავალიანი, ნ. ჩიქოვანი და თაყაიშვილი-მარეთ დ. კლდიაშვილი.

რედაქტორი.


იწვია ღირეკტორი-ინსპექტორითურთ ერთად სხვა პირებთან და სიტყვებითაც მიმართა მათ, აგრეთვე, როდესაც დასჯირდა ღირეკტორთანაც იკადრამიბრძანება და დაღრეჯა, რათა აძლიონ მას ჯამაგირი სექტემბრამდე. ხედავთ ჯერჯერობით იმისთვისაც საჭირო ყოფილა ღირეკტორიც. „ჩვენი საქმის მე-27 ნომერში ბ ნი მანბანი მრავალ ცრუ ხმებთა შორის ბრძანებს: „სანამ საჭირო იყო ბურჯანაძე“ ჩვენ ვარლამათ“ იხსენიებდნო;“ ამ უკანასკნელ ფრაზაში კი დავეთანხმები, ხოლო უნდა ვაღიარო სიმართლე, რომ „ჩვენ ვარლამათ“ იხსენიებდენ მარტო ის მისი „დღეშკა“—მასწავლებელი ქალები, რომლებიც „დროების“ მე-44 ნომერში კორპორაციის სახელით ქება-დიდებას უძღვნიან (კორპორაციაში 21 კაცია) და დღეს კი ყველამ ზურგი შეაქცია და კიდევაც უარს ყოფენ, ამგვარ წერილზედ, რომელიც „დროების“ მე-44 ნომერშია, „ჩვენ ხელი როდი მოგვიწერიაო“; მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ზოგიერთები სათვალთშაქცო სიტყვებითა და ვითომ მოღვაწეობით ჰხიბლავენ ჯერ კიდევ ცხოვრებაში გაუვარჯიშებელ ახალგაზღვებს და მათის თანაგრძობით ზურგს იმაგრებენ.—დასასრულ, რაც შეეხება მისგან, თუ მისი ვითომ და მეგობრებიდან ჩემს უსაბუთოდ ლანძღვაგინებას და ცილის წამებას შურის საძიებლად, ეს მათივე თავის მასხრად აგდებაა და მე თავის დასამცირებლად მიმაჩნია მის შესახებ პასუხის მიცემა, რაც ჩვენს პოლემიკას არ ეხება, ტყუილად ნუ ფიქრობენ, რომ გზას ამაცილონ; ხოლო მე აშკარად ვეუბნები მათ, რომ სკოლაში სამი ოთხი გაკვეთილის მიცემის შემდეგ, მე კიდევ ჩემს სახლში ვმუშაობ სამი-ოთხ საათს და ხან-და-ხან, არა თუ იმ ბიბლიეიშვილის „რესტორანში“, სადაც ბ.მა ბურჯანაძემ ძალად გააკეთებინა სადილი სამ-ოთხს თავის მეგობარს, არამედ „მედვედში“ და „ნოეს ვაზშიც“ გაიხლები რიგიან მეგობრებთან სადილს, ეს მე უფრო პატიოსნად მიმაჩნია, ვიდრე რაიმე სიყალბის ჩადენა რომელიმე ჩემი ამხანაგის გასაშავებლად; იცოდეს მან, რომ ის ერთკლასიან სკოლას განაგებს და მე კი ათი—თორმეტი წელიწადი ორკლასიანი სასწავლებლის

მმართველი ვიცავი და მაზედ მეტი ნაყოფი მომიტანია ჩემს სასწავლებელში, თუმცა კი როგორც ის, არ ვყეფავდი და ვყვიროდი „კრილოვის“ ფინიასავით. აგრეთვე იცოდეს, რომ გვსურს სიმართლეს გამოკვლევა და არა საზოგადოების მოტყუილება.

უმორჩილესად ესთხოვ პატივცემულთ „ივერიის“, „დროების“ და „ჩვენი საქმის“ რედაქციებს გადაბეჭდონ ეს წერილი, რათა შეიტყოს საზოგადოებამ, გაურჩევია თუ არა სასამართლოს აბზიანძიე—ბურჯანაძეს შორის დავა.

ლადო ნაცვლიშვილი (ბზენელი)
 ❀ ❀ ❀ ❀ ❀

მუთაისში აკაკის დღესასწაულზე დასწრე ქაქუჩა გლეხის ნათქვამი.



(გავრძელება. *)

ქერომ მღვდელი სახარებას გამოასვენებს ხოლმე ტრაპეზიდგან ხალხისკენ საყდარში და მერე ისევ შეასვენებს, აი ცოტა ამაზე გვიან შეიქნა ხალხში ჩოჩქოლი და მიხლა მოხლა: მოდის, მოდისო, ფურჩულობდნენ, ყველა ყალყზე, ფეხის წვერებზე შედგა, ყველას უნდოდა დაენახა ის დიდებული ადამიანი, დიდსა და პატარას, ქალსა და კაცსა ყველას ამაღლება, ყველას გაზრდა მოუნდა მაშინ, მეც შევძექი ქლიკებზე, მარა რას დაინახავდი? წინ საბუდარა ქუდებიანი ქალები იდგნენ, ქულის ფრთებს აქეთ-იქით აფრიალებდნენ და თვალეში მეფარებოდნენ. ვიცვალე ადგილი ცოტათი და მაშინ კი დავინახე, რომ ორ ნასტავლ კაცს მოყავდათ შუაში ჩამდგარი რუსულათ ჩაცმული საამო შეხედულობის მოხუცი: ყველამ იმაზე მიათითა აი, ის არის აკაკო. მე ვსთქვი ჩემს გუნებაში მასხრობენ ესენი, თორემ ისე უბრალოთ და სადათ ჩაცმული კაცი რაფა იქნება ის აკაკი. ვისაც ყველა ახსენებდათქო და რომლის სანახაე-პატივსაცემლად ამდენი ხალხი მოსულათქო, ამას არც ჯინჯილები აქვს მხრებზე, არც ჩინი და არც მენდალი და სადაური დიდი კაცი იქნება

*) იხ. „შინაური საქმ.“ № 14.)

ისათჳს; დაუკვირდი ტანისამოსს, ტანზე გახუნებული პალტო და ფეხებზე ძველი კალოშები ეცვა, იმისთანა პალტოსა და კალოშებს ჩვენი ფედოს ნაქალაქარი სერგია ბიჭიც კი არ იკადრებს, ხომ ხედავთ ხოლმე რავე პანკიალარულ ტანისამოსით გამოდის ხოლმე ის საყდარსა და თემში, ახლოსაც არავის იკარებს სალაპარაკოთ; ბევრს ის დიდ ნასტავლ კაცად მიაჩნია, რადგან რაღაც საყვედურს ორი ღერი რუსული პრიშტი პრაშტა იცის, — მარა რომ მოიყვანეს წინ, და სკამი დაუდგეს დასაჯდომათ, და ყველამ მოწიწებით დაუწყო ყურება, მერე მეც დავრწმუნდი, რომ ნამდვილ ის იყო აკაკი. მუშტრის თვალით დაწიწყ თვალიერობა და იცით რა გითხრათ ჩემო მეზობლებო? მისმა შუბლის დანახვამ და მთელი სახის გამომეტყველებამ უფრო და უფრო დამარწმუნა მის კაი კაცობაში, რომ ისეთი მალაღობი და ფართო შუბლი კაი რამეს ნიშნავს ეს ცხონებულნი მამჩემიდან მაქვს გაგონილი, იტყოდა ხოლმე საწყალი, რომ კაცს შუბლზე და სახეზე შეეცემა მისი კაცობა და ადამიანობა; ახლა პირის სახეს არ იტყვი? გაშლილ ბადრ მთვრეს მიუგავს... აი მისი პატარეთ-კარტიჩქა აგერ მაქვს ჯიბეში, პატარა წიგნი მაჩუქა პოვეზდში ვიღამაც, სოფელში მიიტანე, და წაიკითხავს ვინმეო და იმ წიგნშია ჩახატული. და ამ სიტყვაზე ქაქუჩამ ამოიღო ჯიბიდან პატარა წიგნაკი: „აკაკის რჩეული ლექსები მისი ცხოვრების მოკლე აღწერით“ და უჩვენა მსმენელებს. აქ ვერ არის ის კარგათ გამოყვანილი, როგორც ნამდვილად არის აკაკი, მარა მაინც შეუძლია კაცმა აზრი შეადგინოს მის მოყვანილობა-შეხედულობაზე. აი ხედავთ, რავე ჩაფიქრებულა და შემოუღვია შუბლზე ხელი? ყველანი ექერად გადაიქცნენ, ერთი ერთმანეთს გლჯიდნენ წიგნს ხელში, ყველას უნდოდა თავის ხელში მოეგდო ის წიგნი და საყუთრათ ენახა აკაკის სურათი. — უპ, მართლაც ძაან შუბლი არ ჰქონია, კაცო, ძაან შეხედულობისაც ყოფილა შენმა მზემა! გაისმა იქით-აქით ხმები. მარა რას დაფიქრებულა ნეტავი, რა აქვს იმას საჯავრებელი, მე გეტყვი შენ ჩვენსავით სხვა და სხვა ვადასახა-

დებმა არ შეაწუხოს! წარმოსთქვა ერთმა მსმენელმა; — ვინ იცის, ეგებ მაგ იმას სწუხდეს თუ ჩვენ რათა ვართ ეგრე დაჩაგრულ შეწუხებულნი, უბასუხა მაორემ. — მოხუცებული კი ყოფილა მართლა, ეტყოდა, ... აჰ, მაგის დედამას ეთქმოდა შეილი გყავსო, თორემ ჩემისთანა ქოლბოტა გინდა ყავდეს და გინდა არა დედას, დაუმატა მესამემ. — ვინო, მე და შენც აგრე დაგვხატვენ წიგნებში არა? გაიხუმრა მეოთხემ. — ძლიერ საინტერესოა გავიგოთ რას სწერს ამ წიგნში ეს დიდშუბლიანი ადამიანი, მარა ჯერ ქაქუჩას დავათავებოთ ლაპარაკი და მერე წიგნი ვადავაკითხოთ; სხვა არაფერი ამბავი მოყვება ნეტავი ამას? მეფის ტოლი კაცი ყოფილა და უთუოდ რაიმე მანიფესტი გამოვა ხალხის საყეთალოდ, დააბეჯითა პავლიამ, ძაან მიღებულნი არ ეყოლება ის ხელმწიფეს თუ? ვინმეს, აგერ კოტიამ იცის წაგნი და ის წავიკითხავს, ალაპარაკდნენ სხვები.


აბა, აბა, გვიანზე ქვევით კიდევ ჩემო ქაქუჩა, მართალია გაგაწყვეტინეთ ლაპარაკი, მარა შენივე ბრაღია, რათ გვაჩვენე ეს წიგნი და პატრეთი. — ჰო, მე იმაზე შევჩერდი, რომ სობოროში აკაკის სკამი დაუდგესთჳს, მარა თქვენც არ მომიკვდეთ ის იმაზე ხშირად არ დამჯდარიყვეს: რითი იცის ი კურთხეულის შეიღმა მაინც რა დროს შეფერის წირვა-ლოცვაზე ჯდომა და რა დროს არა? ხანდისხან თუ დაჯდებოდა ისიც იმიტომ კი არა ვითომ ირანქებოდა (ჩვენებური კულდაზიკაბივით) და დიდკაცობდა, არამედ როგორც მოხუცებულობისგან დასუსტებული ისვენებდა ხოლმე ზედ. ჩვენმა კაცებმაც ბევრმა არ იცის რა დროს რა უნდა საყდარში, საჯარების კითხვის დროსაც ბევრი დამჯდარია ხოლმე და ილრიკებ-იქყანება და იქით-აქით იხედება; მეკი თქვენ თვითონ იცით, რომ თორმეტი წელიწადი სტარახტათ ვიყავი და ესეები აღარ გამომეპარება; შევჩერებოდი სობოროში აკაკის და რაღაც ექვები მებადებოდა გულში, თუ ეს მართლა ხალხის მოსარჩლე და მოყვარულია, როგორც ყველანი ამტკიცებდნენ. საყდარში რა უნდოდა ამას, არ ვახსოვთ, რომ ამ ოთხიოდ წლის წინეთ აგვიხსნეს, გვიქადაგეს და თითქმის ბევ-

რიც დააჯერეს, რომ ღმერთი არ არის, სარწმუნოება სისულელეა, საყდარი რა საქიროა და მღვდელი რათ გინდათ, ის თქვენი მცარცველიაო. ყველა ესენი მხოლოდ უსწავლელ, გაუნათლებელ კაცს სჯერა და სწამს, თორემ ნასტაველ კაცს მაგენი არაფრად მიაჩნიაო და ამას საქმიითაც ამტკიცებდნენ ჩვენი გამკეთებლები: არა თუ თვითონ არ დაიარებოდნენ წირვა-ლოცვაზე, ვინც დავდიოდით, იმათაც მასხრად გვიგდებდნენ და გვაშინებდნენ, ღვთის ხსენებას და პიჯვრის წერას ვინ გააძხელდა და გაზედავდა იმათთან? და ეხლა ამას რას ხედავს ჩემი თვალები? ის, ვისაც ასე აღმტრთებენ, როგორც დიდ ნასტავლს და დიდ ნიჭიერ კაცს, საყდარშიდაც შამოდის და პიჯვარსაც იწერს, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, წირვის გათავებისას, გამოდის ერთი დეკანოზი და ქადაგობს, სულ აკაკიზე ლაპარაკობს ქებას და ღიღებებს მისას, გამოდის მეორე, მესამე და ისინიც ქებით ამკობენ აკაკის, ბოლოს თვით ეპისკოპოსმა დაუწყა ქება ისეთი სიტყვებით, რომ ბევრს ცრემლები მოერია თვალებში, ეპისკოპოსმა ხატი აჩუქა აკაკის; ხატს ემთხვია აკაკი, ეპისკოპოსს ხელზე აკოცა და ეპისკოპოსმა პირზე აკოცა თვითონ აკაკის! სიზმარში შეგონა ჩემი თავი: როგორ ვიფიქრებდი თუ ასე დიდი ნასტაველი კაცი პიჯვრის წერას და ხატზე მთხვევას იკადრებდა? ასე დაგვაჯერეს იმ ვაჭბატონებმა და მე რა მეძრახვის, რომ ასე ვფიქრობდე?—ოჰ, ი შეჩვენებულებმა, როგორ შეგვიცვალეს ყველას გუნება, ხასიათი და შეგვირყიეს ერთხანს ღვთის შიში და სარწმუნოება. სიკვდილს ვნატრობდით, მისთანა რამეები გვესმოდა იმათგან, ერთი ერთმანეთს აგვის-დაგვისიეს, ერთმანეთი შეგვაძულეს, გამდიდრება-გაბედნიერებას გვპირდებოდნენ და ქვ ვაგვაუბედურეს მთლად, უწინ ყოველიფერ გასაჭირს და უბედურებას სულგრძელობით ვიტანდით, რადგან ღვთისგან მოვლენილად მიგვაჩნდა და შემდეგში მაგიერ ჯილდო-ბედნიერებას გამოველოდით. ახლა კი ეს იმედიც გაგვიცუცურაგეს, და მკვებით აგვიფსეს გული და ისე დაგვტოვეს უბატრონოდ. ისინი შაი-

მალ-მოიმაღნენ სადღაც და ჩვენ ტყავი გაგვაძვრეს იმათ სისულელისთვის; ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ ბევრს მართალსაც ამბობდნენ ისინი, მარა ერთი რომ საქმეს ვერ გაუძღვენ რიგიანად და მეორე ღმერთი და ხატი რომ არ სწამდათ იმათ, სულ თვალის დასანახავადაც შემძულდნენ წყეულები.

ქვაციხელ-საბაჟოელი.

(შემდეგი იქნება)



რედაქტორი, მღვდელი სიმონ მახალიძე.
 * გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გამოვიდა და ისყიდება

პირველი სერია სამკურნელო წიგნებისა
აბრეშუმის მოვლა

ნ. მკურნალისა.

ფასი 3 კ.

დაიბეჭდა და ისყიდება

ახალი წიგნი მღვ. მ. კელენჯერიძისა:

თეორაა სატყუარებისა — მეორე დასრულებული გამოცემა, ფასი 40 კ. აუადება ქართული ქრესტომატიის — მისივე I, II, III და IV კლასებში საკითხვა წიგნი.

აკითხეთ: ფოთში ავტორთან, ქუთაისში ა. კვიციანიძესთან და ვ. ბუჭენიშვილთან, თბილისში წაკითხვის საზოგადოებაში.

